პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზაოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 148 (10542) | ოთხშაბათი, 27 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

მოსკოვში ჩამოვიდნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია

25 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდნენ მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია ფეჰლევი. მათთან ერთად ჩამოვიდნენ ირანის ვაჭრობის მინისტრი იბრაჰიმ ქაშანი, სენატორი მოჰამედ საედი, მისი უდიდებულესობის შაჰის გენერალ-ადიუტანტი კორპუსის გენერალი იაზდან-ფანაჰი, შაჰის კარის მთავარი ცერემონმაისტერი მოჰსენ კარაგოზლუ, სენატორი, კორპუსის გენერალი ჯაჰანბანი, დივიზიის გენერალი აიადი, მეჯლისის დეპუტატი თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი ჰამიდ ახი, კარის ეგერმაისტერი აბოლფათჰ ათაბე, მისი უდიდებულესობის შაჰის სამოქალაქო ადიუტანტი არდეშირ ზაჰედი, შაჰის გვარდიის უფროსი ბრიგადის გენერალი ნემათოლა ნასირი და სხვა პირები.

მის უდიდებულესობას დედოფალს ახლავან სეფექალები ქ-ნი ალამი, ქ-ნი იაზდან-ფანაჰი და ქ-ნი ჰაიდე კარაგოზლუ.

მის უდიდებულესობა შაჰთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში ა. ი. ლავრენტიევი, ირანში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი გ. ი. ოლიფერენკო, ირანელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

დედაქალაქის ცენტრალური აეროდრომი. ფლაგშტოკებზე ფრიალებენ ირანისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. რუსულ და სპარსულ ენებზე წარწერილია მისალმების სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ირანის სახელმწიფოს მეთაურის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. დ. ჩუბინიძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. მალიშევი, ვ. ვ. მაცკევიჩი, ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირში ირანის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, სსრ კავშირში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები, სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშეები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები, რადიომაუწყებლობის, კინოქრონიკის წარმომადგენლები, ფოტორეპორტიორები.

17 საათი და 45 წუთია. აეროდრომზე გამოჩნდა თვითმფრინავი, რომელშიც ირანელი სტუმრები არიან. მას ესკორტობს რეაქტიულ ავიაგამანადგურებელთა ესკადრილია. ვერცხლისფერი „ილ-14“ ძირს ეშვება და მიდის იმ ადგილთან, სადაც შემხვედრნი შეკრებილან. ტრაპით ჩამოდიან მისი უდიდებულესობა შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია, მათი თანმხლები პირები.

ირანის ელჩმა ბ-ნმა ა. გ. მასუდ-ანსარიმ წარუდგინა შაჰი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მოსწავლეებმა ყვავილების დიდი თაიგულები მიართვეს ჩამოსულ სტუმრებს.

საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი მისცა მის უდიდებულესობას შაჰინშაჰს. აეროდრომზე ზეიმურად ჟღერს ირანისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები. მისმა უდიდებულესობამ მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ და კ. ე. ვოროშილოვმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი მივიდა მიკროფონთან და სიტყვა წარმოთქვა:

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

თქვენო უდიდებულესობავ, შაჰინშაჰო!

თქვენო უდიდებულესობავ, დედოფალო!

დიდად პატივცემულო სტუმრებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის და პირადად ჩემი სახელით მოგესალმებით თქვენ, ირანის შაჰინშაჰს მოჰამედ რეზა ფეჰლევის, დედოფალ სორეია ფეჰლევის და თქვენს თანმხლებ პირებს საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში ჩამოსვლის გამო.

ირანის სახელმწიფოს მეთაურის პირველი ვიზიტი საბჭოთა კავშირში დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში ხდება. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მტკიცე მეცადინეობის მეოხებით ერთგვარი წარმატებებია მიღწეული საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, ვითარდება სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობა.

ახორციელებს რა აქტიურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ყველა სახელმწიფოს, მათი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების მიუხედავად, შეუძლია და კიდევაც უნდა იცხოვროს მშვიდობიანად და მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრას ურთიერთ შორის წარმოშობილი სადავო საკითხები.

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირად კონტაქტებს. პირადი კონტაქტები ჩვენს შორის განსაკუთრებით საჭირო [illegible] ირანი და საბჭოთა კავშირი მეზობლები არიან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი უდიდებულესობის ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს [illegible] ერთგაგებას და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერ[illegible] ნდობის [illegible].

საბჭოთა კავშირში ყოფნა საშუალებას მოგცემთ თქვენ დარწმუნდეთ, რომ საბჭოთა მთავრობას და ჩვენი ქვეყნის ხალხებს გულწრფელად სურთ, რომ ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობა ნამდვილად კეთილმეზობლური და მეგობრული იყოს.

საბჭოთა სახელმწიფო პატივისცემით ეკიდება ირანის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, ზუსტად ადგას ირანის სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოზიციას და სურს მშვიდობიანად იცხოვროს და ითანამშრომლოს მასთან ჩვენი ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როცა ორივე მხარე ესწრაფვის მშვიდობასა და უშიშროებას, როცა ორივე მხარეს სურს თავის ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ ცნობილი პრინციპები, რომლებიც მოიწონა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციამ, ჩვენს ქვეყნებს შეუძლიათ იცხოვრონ როგორც კეთილმეზობლებმა და მეგობრებმა.

საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებს თქვენს ვიზიტს და ყველაფერს გააკეთებს, რაც კი საჭიროა, რათა თქვენ კარგად გაეცნოთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ხალხების ცხოვრებას — მათს მშვიდობიან შრომასა და კულტურას, რათა საბჭოთა კავშირში თქვენი ყოფნა საინტერესო, სასარგებლო და სასიამოვნო იყოს.

გისურვებთ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ და თქვენს მეუღლეს, აგრეთვე თქვენს თანმხლებ პირებს ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და წარმატებებს. ბედნიერებასა და აყვავებას ვუსურვებ ირანის ხალხს!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!

ირანის შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის სიტყვა

მიკროფონთან სიტყვა წარმოთქვა მისმა უდიდებულესობამ ირანის შაჰინშაჰმა. მან განაცხადა:

— დედოფლისა და პირადად ჩემი სახელით დიდ მადლობას გიძღვნით იმ მოსალმებისათვის, რომელიც აქ წარმოთქვა მისმა აღმატებულებამ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტმა ჩვენს მიმართ, და დიდი სიხარულით პირველად შემოვდგამ ფეხს დიდი მეგობარი მეზობელი სახელმწიფოს დედაქალაქში.

დღეს დილიდან ორჯერ დავდგით ფეხი საბჭოთა მიწაზე და როგორც ბაქრში, ისე ვორონეჟშიც, ვიგრძენით, რომ ყველგან გულწრფელი გრძნობით გვხვდებიან.

სავსებით ვეთანხმები აგრეთვე მის აღმატებულებას პრეზიდენტს, რომ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის კონტაქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. დღეს, როცა მთელი მსოფლიოს ხალხები ისწრაფვიან უზრუნველყონ მშვიდობა და მყუდროება დედამიწაზე, ყოველი ადამიანი თავის მხრივ მოვალეა თავისი ძალღონე მოახმაროს ამ საქმეს.

მისი აღმატებულება პრეზიდენტი დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ თუ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, როცა ეს კავშირი ესოდენ ძლიერია და ესოდენ დიდი მოსახლეობა ჰყავს, ესწრაფვის ირანთან მეგობრობას ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე, ირანი, რომელიც უფრო პატარა სახელმწიფოა, სწორედ ასეთ მეგობრობას ესწრაფვის თქვენს სახელმწიფოსთან.

როცა მეგობრობას საფუძვლად უდევს ურთიერთ პატივისცემა და სხვის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ეჭვი არ არის ასეთი მეგობრობა მტკიცე და ურყევი იქნება.

მე აგრეთვე ჩემი სახელით და ირანის ხალხის სახელით საუკეთესო მეგობრულ სურვილებს ვუძღვნი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხალხებს და ვუსურვებ პირადად მის აღმატებულებას პრეზიდენტს, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებს პროგრესსა და ბედნიერებას.

* * *

მისი უდიდებულესობა შაჰინშაჰი და კ. ე. ვოროშილოვი ღია მანქანაში სხდებიან და აეროდრომიდან მიდიან. მათ მიჰყვება მანქანა, რომელშიც არიან მისი უდიდებულესობა დედოფალი და ე. დ. ვოროშილოვა.

მთელ გზაზე რეზიდენციამდე კრემლის სასახლეში საპატიო სტუმრებს ათასობით მოსკოველი მიესალმა.

დედაქალაქის მაგისტრალებზე გამოკიდული იყო ირანისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები და ქსოვილები მისასალმებელი წარწერებით სპარსულ და რუსულ ენებზე: „გაუმარჯოს ორი მეზობელი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხთა მეგობრობას“, „განვითარდეს და განმტკიცდეს სსრ კავშირისა და ირანის კეთილმეზობლური ურთიერთობა“

(საკდესი).

ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს

მისმა უდიდებულესობამ ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით, 26 ივნისს ვიზიტი გაუკეთა კ. ე. ვოროშილოვს.

მის უდიდებულესობას ახლდნენ ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. გ. მასუდ-ანსარი, შაჰის გენერალ-ადიუტანტი კორპუსის გენერალი იაზდან-ფანაჰი, შაჰის კარის მთავარი ცერემონმაისტერი მოჰსენ კარაგოზლუ.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში ა. ი. ლავრენტიევი. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა დარბაზობა გაუმართა ირანის შაჰინშაჰს მოჰამედ რეზა ფეჰლევის

26 ივნისს მისმა უდიდებულესობამ ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს.

მის უდიდებულესობას მოჰამედ რეზა ფეჰლევის ახლდნენ ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. გ. მასუდ-ანსარი, შაჰის გენერალ-ადიუტანტი კორპუსის გენერალი იაზდან-ფანაჰი და შაჰის კარის მთავარი ცერემონმაისტერი მოჰსენ კარაგოზლუ.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში ა. ი. ლავრენტიევი. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა საუზმე გამართა ირანის შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევისა და დედოფალ სორეია ფეჰლევის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა მეუღლემ 26 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართეს ირანის შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევისა და დედოფალ სორეია ფეჰლევის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია ფეჰლევი, აგრეთვე მათი თანმხლები პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი მ. დ. ჩუბინიძე, კ. მ. ოზოლინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი და სხვები.

საუზმის დროს კ. ე. ვოროშილოვმა, ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა, მისმა უდიდებულესობამ ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ, აგრეთვე ირანის ვაჭრობის მინისტრმა იბრაჰიმ ქაშანიმ და სენატორმა, კორპუსის გენერალმა ჯაჰანბანიმ მეგობრული სადღეგრძელოებით მიმართეს ერთმანეთს. საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მის აღმატებულებას ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს

თქვენო აღმატებულებავ,

ეგვიპტის რესპუბლიკის კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით დამტკიცებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტად თქვენი არჩევის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩვენი უგულითადესი მოლოცვა, ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ და მთელ ეგვიპტელ ხალხს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ეგვიპტის ეროვნული განვითარება და თქვენი დაუკბრომელი ნაყოფიერი მოღვაწეობა თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ მოუტანს ეგვიპტელ ხალხს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის შემდგომ განმტკიცებას, ბედნიერებასა და აყვავებას.

ერთხელ კიდევ სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და საუკეთესო წარმატებებს.

გულწრფელი პატივისცემით

კ. ვოროშილოვი, ნ. ბულგანინი.

1956 წლის 25 ივნისი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის დეპეშა ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერისადმი

მის აღმატებულებას ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ გამალ აბდელ ნასერს

ქაირო.

ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტად თქვენი ერთსულოვნად არჩევის გამო გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა. ყოველგვარ წარმატებას გისურვებთ თავისუფლებისმოყვარე და მამაცი ეგვიპტელი ხალხის საკეთილდღეოდ თქვენი მაღალი მისიის შესრულებაში.

დ. შეპილოვი.

(საკდესი).

მოსავლის უდანაკარგოდ აღება საყოველთაო-სახალხო საქმეა

სასიხარულო ცნობები მოდის საკოლმეურნეო სოფლებიდან. წელს ჩვენი კოლმეურნეობების მინდვრებზე პურის კარგი მოსავალია. ეს ეხარებს საბჭოთა ადამიანების გულს და ახალი შრომითი მამაცობისათვის აღფრთოვანებს მათ. პური ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა. რაც მეტ პურს ავიღებთ, მით უფრო გაუმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

ზოგიერთ რაიონში მკა დაიწყო. შორს აღარ არის ის დღე, როცა მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება მასობრივად გაჩაღდება. მკა, ალოობა სოფლად გახურებული მუშაობის დღეებია. ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ სოფლის მშრომელებს საჭიროებისა ამოცანად დაუსახა პურეულის მოსავლის ათ სამუშაო დღეში აღება. ეს ადვილი საქმე როდია. საჭიროა კომბაინების, სალეწების და სხვა მანქანების სრული სიმძლავრით გამოყენება. სადაც ნიადაგის რელიეფის გამო რთული მანქანები ვერ იმუშავებენ, იქ მოსავალი უნდა ავიღოთ მარტივი მანქანებითა და ხელით. აქვთ თუ არა საშუალება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს პურეულის მოსავალი აიღონ სწრაფად და უდანაკარგოდ? დიახ, აქვთ. განუწყვეტლივ იზრდება საკოლმეურნეო სოფლის აღჭურვა პირველხარისხოვანი ტექნიკით. მიმდინარე წელს რესპუბლიკის მტს-ებმა მიიღეს სხვადასხვა მარკის 85 ტრაქტორი, 120 მარცვლეულის კომბაინი, 45 სიმინდის და სილოსის ასაღები კომბაინი, კიდევ მოელიან 88 მარცვლეულის კომბაინს. წელს პირველად მექანიზებული კალოების მოსაწყობად მიღებულია 150 სანიავებელი და 180 მარცვალსაწმენდი, კიდევ მიიღებენ 100 სანიავებელს.

ამოცანა ის არის, რომ ტექნიკა ყოველმხრივ მომზადებული შევახვედროთ მკას. მაგრამ მტს-ებს ყველა ხელმძღვანელს ეს ასე რიდი ესმის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამ დღეებში თანამდებობიდან მოხსნა მანგლისის მტს-ის დირექტორი ვ. გოგუაძე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის, კომბაინების რემონტის და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების ჩაშლისათვის. მთელმა რიგმა მტს-ებმა კომბაინების რემონტი გაჭიანურეს, თიანეთის მტს-ს 20 ივნისისათვის კომბაინების რემონტის გეგმა განაღდებული ჰქონდა მხოლოდ 60 პროცენტით, წალკისას — 88 პროცენტით, ავარაცოსას — 68,4 პროცენტით. დავალება ამ დარგში დაწესებულ ვადაზე ვერ შეასრულეს რუისის, თეძამის, ბადიაურის, დიღმის მტს-ებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება მანგლისის მტს-ის მუშაობის შესახებ სერიოზული გაფრთხილებაა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელებისათვის.

რემონტის უახლოეს დღეებში დამთავრებასთან ერთად აუცილებელია სერიოზული ყურადღება მიექცეს ხარისხს. ყვარლის, ენისლის, გურჯაანის, სართიჭალის, საგარეჯოსა და სხვა მტს-ებში გამოვლინდა კომბაინების ცუდად შეკეთების ფაქტები. წუნის მკეთებლები არ შეიძლება შევიწყნაროთ. აღნიშნული მტს-ების სამეურნეო, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა კონკრეტული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ კომბაინების პარკის საუკეთესოდ მომზადებისათვის.

არის სიგნალები, რომ ზოგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სალეწებისა და მარცვალსაწმენდი მანქანების შეკეთება, აგრეთვე სასაწყობო შენობების მშენებლობა, დახურული და მექანიზებული კალოების მოწყობა. მაგალითად, როგორც „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი იუწყება, „ზაგოტზერნოს“ წნორის ბაზას ნაკლოვანებები აქვს მარცვლეულის შეუფერხებლივ მიღების საქმეში. წესრიგში მთლიანად არ არის მოყვანილი სასაწყობო მეურნეობა, ზოგიერთი საწყობი განტვირთული არ არის ძველი მოსავლის ხორბლისაგან.

მარცვლის დამუშავებისათვის წელს რესპუბლიკაში უნდა მოეწყოს 163 მექანიზებული კალო. მტს-ების მუშაკთა ვალია თავის დროზე მოაწყონ მექანიზებული კალოები და ამით ხელი შეუწყონ მარცვლის მაღალხარისხოვნად დამუშავებას.

რით აიხსნება სერიოზული ნაკლოვანებანი მოსავლის აღებისათვის მზადებაში? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ პარტიის მთელი რიგი რაიონული კომიტეტები და რაიხბჭოების აღმასკომები არ ეწევიან სათანადო ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას კოლმეურნეთა და მტს-ების მუშაკთა დასარაზმავად მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და ხელმძღვანელობისათვის.

ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს პურეულის შემჭიდროებულ ვადებში ასაღებად მოსამზადებელი სამუშაოებისადმი, არ იღებენ ქმედითს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. დრო არ ითმენს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორა, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდნენ მოსავლის მასობრივად აღებას და პურის დამზადებას.

დანაკარგების თავიდან აცილების გადამწყვეტი პირობაა მკის ვადების შემცირება. მექანიზატორთა ღირსების საქმეა მოსავალი აიღონ ათ სამუშაო დღეში. პრაქტიკამ ცხადყო, რომ უნარიანი ხელმძღვანელობის, შრომის სწორი ორგანიზაციის პირობებში ამ ამოცანის განხორციელება სავსებით შესაძლებელია. შარშან გარდამბის, წითლის, ქედის მტს-ებმა პურეული 10-12 სამუშაო დღეში აიღეს და მექანიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ. ჩვენი მექანიზატორები, რომლებიც მზად არიან ხანმოშოდ შეასრულონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველი დავალება, ახლა ინიციატივას იჩენენ პურეულის მოკლე ვადებში ასაღებად. მაგალითად, ველისციხის მტს-ის კომბაინერმა დ. ბერულაშვილმა აწონდაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა წელს პურეული 300 ჰექტარზე 10 სამუშაო დღეში აიღოს. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის მტს-ის კომბაინერი ი. ბელიანინი.

საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება. პურის მკაზე გაჩაღებულ შეჯიბრებაში მთავარია უზრუნველყოთ თვითეული კომბაინის დღიური მაღალი გამომუშავება. კომბაინების ოპერატორებს შორის შეჯიბრების ფართოდ მოწყობა დიდად შეუწყობს ხელს მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებას.

სოფლად პარტიამ მზრუნველობით გამოზარდა მექანიზატორთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც დაუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და წინ მიპყავთ იგი. ამ სახელოვან ადამიანთა შორის აღსანიშნავი არიან ფ. რიუმაძე — ლაგოდეხის მტს-ში, ვ. ყაველაშვილი—აფენის მტს-ში, გ. დოლაძე და ნ. ჭუაძე — წითლის მტს-ში, მ. ლაზარაშვილი — ალაზნის მტს-ში, ნ. რამაზაშვილი — ახმეტის მტს-ში და მრავალი სხვა. შეჯიბრების მონაწილე კომბაინერების მდიდარი გამოცდილება ყველა მექანიზატორის კუთვნილება უნდა გახდეს. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ხანმოშო მაგალითის გადმოლება ფართოდ წარმოებდეს ყველგან და სავალდებულო ხდებოდეს.

დანაკარგებთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის ორ ფაზად (გაყოფით) აღება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია, რომ მოსავლიანი ადგილებიან დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მარცვლეული კულტურების მოსავლის ორ ფაზად (გაყოფით) აღების წესის ფართოდ დანერგვას.

ჩვენი დიდი ქვეყნის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ პურეულის მკა ორ ფაზად აღების წესით შეიძლება დაწყებულ იქნას 5-7 დღით ადრე და ჰექტარზე 1,5-დან 5 ცენტნერამდე და მეტით ამცირებს მარცვლის დანაკარგს. მოსავლის ორ ფაზად აღება პროგრესული მეთოდია. მისი უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ მკის ვადებისა და დანაკარგების შემცირებასთან ერთად იძლევა შრომის დანახარჯების ეკონომიას მოსავლის აღების შემდეგ მარცვლის დამუშავებაზე. ეს აგრეთვე დასარევლიანებული პურის ყანების აღების დიდი საშუალებაა.

მოსავლის აღების ეს წესი წელს საქართველოში პირველად ხორციელდება. ამ მიზნით მტს-ებში მიღებულია 30 კომპლექტი საჭირო მოწყობილობა. აუცილებელია ამ საქმეზე სამუშაოდ შევარჩიოთ გამოცდილი, უნარიანი მექანიზატორები, რომლებსაც კარგად უნდა შეეთვისოთ ახალი ტექნიკა და მოსავლის ორ ფაზად აღების ტექნოლოგია. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გააძლიეროს დახმარება მექანიზატორებისადმი, იზრუნოს მათი შრომის სწორად ანაზღაურებისათვის.

დიდი პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან ამჟამად სოფლის პარტიული ორგანიზაციები. ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომითს აქტივობას, უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა და მისი საჯაროობა, შეურიგებლობით იბრძოლონ შეჯიბრებაში ფორმალიზმის წინააღმდეგ. უნარიანად უნდა გამოვიყენოთ მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ყველა ნაცადი საშუალება, საუკეთესო ორგანიზატორები და აგიტატორები გავგზავნოთ კომბაინების აგრეგატებში, კალოებზე, სატრანსპორტო ბრიგადებში, იქ, სადაც წყდება კოლმეურნეთა და მექანიზატორთა დაუღალავი შრომით მოყვანილი მოსავლის აღების საკითხი.

მოსავლის უდანაკარგოდ აღება და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულება საყოველთაო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა. ამ სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარება მნიშვნელოვანი ნაბიჯია მარცვლეულის მკვეთრად გადიდების შესახებ პარტიის დავალების წარმატებით შესრულების გზაზე. უეჭველია, კოლმეურნეები, მექანიზატორები საქართველოს ყველა მშრომელთა მხარდაჭერითა და აქტიური დახმარებით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სასახელოდ გაართმევენ თავს მოსავლის აღებას, პურის დამზადებას და ამით ახალ წვლილს შეიტანენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

ჭიათურელმა მაღაროელებმა გაანაღდეს ნახევარი წლის დავალება

ჭიათურა. (ტელეგრაფით „კომუნისტის“ საკ. კორ.). გუშინ, 26 ივნისს, ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც ნიკოპოლელ თანამოძმეებს ეჯიბრებიან, დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს — ოთხი დღით ადრე შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ლენინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ექვსი თვის დავალების გადამეტებით მაღაროელები სამშობლოს მისცემენ ათასობით ტონა მარგანეცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად, ორგანიზებულად ავიღოთ ბარაქიანი მოსავალი

მოვაწყოთ მექანიზებული კალოები, არ დავუშვათ ტექნიკის მოცდენა

☆

შეჯიბრება გაჩაღდა

ციგვომბორის მთის ჩრდილოეთი კალთებიდან ვიდრე მდინარე ალაზანამდე ველისციხის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებს დიდძალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები უთესიათ. პურის ყანებში, რომლებსაც ოქროსფერი დაედო, რომ იტყვიან, ცხენიანი კაცი არ გამოჩნდება. წელს კოლმეურნეთა და მექანიზატორთა ბეჯითი შრომა უხვად ანაზღაურდება — საშუალოდ ჰექტარზე აღებულ იქნება 15-16 ცენტნერი ხორბალი.

ეს კარგია, მაგრამ წინა წლების გამოცდილებიდან დავრწმუნდით, რომ თუ მკა დაგვიანდა, მოსავალი შემცირდება. გვქონდა შემთხვევა, რომ ერთ და იმავე ნაკვეთში მკის პირველ დღეებში 15 ცენტნერ ხორბალს ვიღებდით, შემდეგ კი მოსავალი ჰექტარზე ათი ცენტნერიც აღარ იყო.

წელს ეს არ გამეორდება, იმიტომ რომ მოსავლის აღებისათვის ყოველმხრივ მოვემზადეთ. არც ერთი წვრილმანი მხედველობიდან არ გამოგვრჩენია. კომბაინები, ტრაქტორები, სალეწი და მარცვლის საწმენდი მანქანები სრულ წესრიგზე მოვიყვანეთ. ყველა აგრეგატი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით.

კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების კომბაინებით აღების გრაფიკი კომბაინერთა და მეშტურვალეთა საწარმოო თათბირზე განვიხილეთ. შემდეგ კი იგი მტს-ის საბჭომ დაამტკიცა. გრაფიკს აგრეგატების ყველა წევრი და კოლმეურნე იცნობს.

პირველ განალეწ ხორბალს სახელმწიფოს ჩავბარებთ. საჭიროა ბევრი და მაღალხარისხოვანი თესლი მომზადდეს, სუფთა უნდა იყოს შრომადღეებზე გასაცემი ხორბალიც. ჩუმლაყი, ვაზისუბნის და სხვა კოლმეურნეობებში ეწყობა მექანიზებული კალოები, სადაც კარგად დამუშავდება მიღებული მარცვალი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად კომბაინერთა შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა. ყველამ როგორც ერთმა, მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება იკისრა. შარმან კომბაინერმა დ. ბერულავილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ოც სამუშაო დღეში ხუთასი ჰექტარი მომკა. მან ვალდებულება იკისრა წელს 10 სამუშაო დღეში მოსავალი აიღოს 300 ჰექტარზე და დაზოგოს 2 პროცენტი საწვავი. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის მტს-ის წარჩინებული კომბაინერი ი. ბელიანინი. კ. ლისოვსკი „ს-4“ მარკის კომბაინით ათ დღეში ორასი ჰექტარის მომკისათვის იბრძვის.

ასეთივე გადიდებული ვალდებულებები აიღეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ კომბაინერები: გ. ყოჩიშვილი, უ. ნადირაშვილი, გ. მაისურაძე, გ. ნატროშვილი, გ. არუთინოვი.

წელს მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში პირუტყვისათვის 97.850 ცენტნერი ნამჯა უნდა დამზადდეს. ამ საქმის შესრულებაში ხელს არაფერი შეგვშლის, მზად არის ნამჯის შემგროვებლები, დამზვინავი მექანიზმები.

მტს-ის კოლექტივი მთელ შესაძლებლობას გამოიყენებს იმისათვის, რომ წელს პურეულის მოსავალი სწრაფად და უდანაკარგოდ აიღოს.

დ. სარიევი,
ველისციხის (გურჯაანის რაიონი) მტს-ის დირექტორი.



კომბაინერ გ. მოსულიშვილის აგრეგატი მოსავლის აღებაზე სოფელ არაშენდის (კაჩრეთის რაიონი) მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. ფოტო გ. ვახტანგაძისა.

• • •

კომბაინები სამუშაოდ გავიდნენ

ბარაქალა მათს მარჯვენას

პურის ყანები მიმწიდველ სურათს ხატავენ კაჩრეთელთა საკოლმეურნეო მინდვრებში. როგორც კი დაუბერავს ქარი, ზღვასავით იწყებს ღელვას პურეული. ოქროს თავთავებით დახუნძლული ყანები ახარებენ იმათ თვალს, ვინც თესა და მოიყვანა.

ყოველდღიურად საკოლმეურნეო მინდვრებში გარიჟრაჟიდან დაღამებამდე 7 ათასამდე კოლმეურნე მუშაობს, 3 ათასამდე მოსწავლე ეხმარება მათ. ზოგი მათგანი თიბავენ მუშაობს, ზოგი ქერს მკის, სიმინდს თოხნის...

მინდვრის სამუშაოებში დაწინაურდა სოფელ არაშენდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე შ. ყამბარაშვილი). მარცვლეულ თავთავიან კულტურებს შეუფერხებლად იღებენ კომბაინერები ი. ზვერიაშვილი, ს. სოლოლაშვილი, შ. ბაზელაშვილი. თვითეული მათგანი მოსავლის აღების ყოველდღიურ დავალებას 180-200 პროცენტით ასრულებს. მათ უკვე მომკეს 100 ჰექტარი ქერი. საერთოდ წელს მოსავალი სანაქებოა. ზოგან თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერს იღებენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა. პურიც უკვე მომწიფდა და შერჩევითი მკა გაჩაღდა. საუკეთესოდ მუშაობს გ. მოსულიშვილის თვითმავალი კომბაინი. მეშტურვალეა მისი უმცროსი ძმა ხ. მოსულიშვილი.

მოსავლის აღებასთან ერთად შეუფერხებლად მიმდინარეობს მარცვლეულის გაწმენდა და მისი სახელმწიფოსათვის ჩაბარება. კალოებზე მარცვლეულის წმენდაზე ენერგიულად მუშაობენ კოლმეურნეები ზ. გელეგაშვილი, ც. მეშველიშვილი, თ. გელეგაშვილი, ნ. მედოლაშვილი, ა. გელეგაშვილი, ნ. მამისაშვილი და მრავალი სხვა. აქვე არიან ამავე სოფლის მოსწავლეები ა. ბაგორაშვილი, ბ. ჩიმახიშვილი, ე. ციციშვილი, გ. გეთიაშვილი, გ. ციციშვილი, გ. ცუკოშვილი. ისინი კოლმეურნეებს ეხმარებიან თავთავების აკრეფაში, მარცვლეულის გაწმენდაში, დაბინავებაში.

სწრაფად მიმდინარეობს ნაწვერალზე სიმინდის თესვა. ტრაქტორისტი შ. მოსულიშვილი და მისაბმელ მანქანაზე მომუშავე ჯ. ბაველაშვილი „დტ-54“ მარკის ტრაქტორით ყოველდღიურად სიმინდს ნაწვერალზე კვადრატულ-ბუდობრივად 18-20 ჰექტარზე თესავენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 ჰექტარისა.

ამასთან კოლმეურნეები და მექანიზატორები ნაყოფიერად მუშაობენ თივის აღებაში. აქ ბუნებრივი თივის აღების გეგმა უკვე შეასრულეს. გუშინ, 26 ივნისს, ტრაქტორისტმა ს. ჯაშაშვილმა, სათიბ მანქანაზე მომუშავემ ა. მოსულიშვილმა „ცდ-35“ მარკის ტრაქტორით ნათესი ბალახი გათიბეს 20 ჰექტარზე და ამით დაწესებული გეგმა ორმაგად გაანალდეს.

კაჩრეთის მტს-ის ზონის კოლმეურნეობაში წელს პურეულის უხვი მოსავალია, — განცხადა საუბარში პარტიის კაჩრეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. რევაზიშვილმა. საშუალოდ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით 8 ცენტნერით მეტ მარცვალს მივიღებთ. ზოგიერთი კოლმეურნეობა ჰექტარზე 30 ცენტნერ ხორბალს მოიყვანს.

ეს წარმატება მოპოვებულია კოლმეურნეთა და მექანიზატორთა ბეჯითი შრომით. პურეული ძირითადად დათესილი იყო სუფთა და ადრეულ ანეულზე, რომელიც ღრმად იყო მოხნული. თესვის წინ ჩაატარეს ნახნავის კულტივაცია, ფარცხვა, შემდეგ კი მწკრივად თესვა.

პურეულის მკასთან ერთად გაცხოველებით მიმდინარეობს თივის აღება. საშწურხაროდ, აქვთ შეფერხებაც. მაგალითად, სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტ ნ. შავლიაშვილს სათიბი მანქანის დანები გაუფუჭდა. საჭირო იყო მათი გალესვა. ამ საქმის მოგვარება ადგილზევე შეიძლებოდა, სალესი ქვა რომ ჰქონოდათ, მაგრამ ეს არ აღმოჩნდათ. ამიტომაც იძულებული გახდნენ სათიბი მანქანის დანები გასალესად წაეღოთ მტს-ში 50 კილომეტრის მანძილზე. ამის გამო მანქანა ერთ დღეს გაცდა. ყველაფერი ეს იციან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ დახმარება დღემდე არა ჩანს.

ნაქები კალო და სინავდილი

ამ დღეებში რაიონში დასახმარებლად ჩამოვიდნენ სტალინირის მტს-დან კომბაინერები ფ. მიროშნიკოვი, ა. ჭულუხაძე, მ. ჭოველიძე და სხვები. სულ რაიონში ყოველდღიურად 53 კომბაინი იმუშავებს. პურის დამზადების გეგმის თავის დროზე შესრულებისათვის საჭიროა ჯეროვნად მოეწყოს მარცვლის გადამუშავება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიზებულ კალოებს.

ჩვენ ვნახეთ კაჩრეთის მტს-ის უფროსი აგრონომის ამხ. ა. ივანიძის მიერ სოფელ არაშენდის კოლმეურნეობაში მოწყობილი ნაქები კალო. ადგილზე შემოწმებით აღმოჩნდა, რომ აქ მექანიზებული იყო მხოლოდ მარცვლის აწონვა, ხოლო დანარჩენი სამუშაოები კი — მარცვლის გაწმენდა და სხვ. ხელით სრულდებოდა. განა ასეთი უნდა იყოს მექანიზებული კალო!

* * *

მოსავლის აღების პირველი დღეები მოწმობს, რომ რაიონში ცოტანი როდი არიან უხვი მოსავლის ოსტატები, სახელოვანი კომბაინერები. მათი დაუღალავი შრომის შედეგად თავთავიანი მარცვლეული კულტურები უკვე აღებულია 400 ჰექტარზე. მექანიზატორთა პირობაა რაიონში პურის მკა სწრაფად დაამთავრონ, პირობას შესრულებულად ჩთვლიან, კაჩრეთელებმა არ უნდა დაივიწყონ ცნობილი ანდაზა: „მოსავალი ის კი არ არის, რაც მინდორშია, არამედ ის, რაც ბეღელშია“.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ჰექტარზე 20-25 ცენტნერი

თელეთის მტს-ის მექანიზატორებმა მოსავლის აღება გაჩაღეს. კუმისის სტალინის სახელობის, ორთაჭალის მახარაძის სახელობის და თელეთის კოლმეურნეობებში ორ დღეში აღებულია 290 ჰექტარი ქერი. საკოლმეურნეო მინდვრებზე ბარაქიანი მოსავალია. საშუალოდ ჰექტარზე 20-25 ცენტნერ ქერს იღებენ.

მოსავლის აღებას კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ-ერთი პირველი შეუდგა კომბაინერი მ. ვართანოვი, რომელმაც „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 54 ჰექტარი მომკა და 140 ტონა მარცვალი გალეწა.

კომბაინერმა გ. ბადალოვმა ორ დღეში თელეთის კოლმეურნეობაში 45 ჰექტარი აიღო. ჰექტარზე მოსავალი ოც ცენტნერს აღემატება. კარგად მუშაობენ კომბაინერები მამა-შვილი გოლა და გურამ ვახტანგოვები. მოსავლის აღება მათ ერთდროულად დაიწყეს. უფროსი თაობის კომბაინერი გოლა ვახტანგოვი, რომელიც 16 წელია „კომუნარის“ მარკის კომბაინზე მუშაობს, არ ჩამორჩება შვილს, მხარდამხარ მიჰყვება მას. მამამ უკვე 40 ჰექტარზე აიღო მოსავალი, შვილმა — 45-ზე.

კომბაინების აგრეგატებსა და საკოლმეურნეო მინდვრის კალოებზე ფართოდ გაიშალა საგიტაციო მუშაობა. ყველა აგრეგატზე გამოყოფილი არიან აგიტატორები. საველე გაზეთის რედაქტორებმა თ. სვანიძემ, რ. ჩიჩუამ, გ. არდაშელოვმა და სხვებმა მოსავლის აღების დაწყებისთანავე გამოუშვეს საველე გაზეთები. გამოვიდა კედლის გაზეთ „ტრაქტორისტის ხმის“ ორი ნომერი, რომელთაგან ერთი მიეძღვნა კომბაინერთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას, მეორე — მოსავლის აღების პირველი დღეების შედეგებს.

მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში კოლმეურნეობებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საშეფო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობები განსაკუთრებით მოითხოვენ ავტოტრანსპორტით დახმარებას.

რ. ჯაველიძე,
თელეთის მტს-ის პარტიიუროს მდივანი.

გზა მშვიდობისა, ახალგაზრდებო!

გუშინ საღამოს თბილისის ვაგზალზე არაჩვეულებრივი ხალხმრავლობა და მოძრაობა იყო — დედაქალაქის მშრომელები მოაცილებდნენ პარტიასა და მთავრობის მოწოდებით ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებზე მომავალ პატრიოტებს. დაიძრა სპეციალური ვაგონები ახალგაზრდა პატრიოტთა პირველი ჯგუფით მოძმე ყაზახეთისაკენ.

განუზომელია ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ვრცელი ტერიტორიის სიმდიდრენი, მისი წიაღისეული, დიდია ყაზახეთში გაჩაღებულ მეექვსე ხუთწლედის მშენებლობათა მასშტაბები.

ეს დიადი მშენებლობანი უზომებენ სიცოცხლითა და ხვალინდელი უფრო ნათელი დღის რწმენით აღსავსე ახალგაზრდა პატრიოტებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ერთგულების, ლენინ-სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდილი ახალგაზრდებისათვის არ არსებობს ისეთი სიძნელენი, რომელთა გადალახვაც მათ არ შეეძლოთ.

ღელავდა წუხელ ხალხის ზღვა ვაგზალზე. მაგრამ იყო კიდევ აქ „უხილავი ზღვაც“ — მრავალი გრძნობებისა და განცდების ზღვაც. და ეს ბუნებრივიც არის — ისინი ტოვებენ მშობლიურ თბილისს და მიემგზავრებიან შორეულ ყაზახეთში. სადაც იწყება ახალი ერა მათი ცხოვრებისა — დამოუკიდებელი, მიზანსწრაფული, სიახლეებით, სახელითა და დიდებით აღსავსე ცხოვრების ერა.

მაია ლესნიხი — კომკავშირელის ნიშნით მკერდზე, გაბრწყინებული თვალებით დგას ამ ახალი საინტერესო ცხოვრების გზაზე, იმედით გაჰყურებს მომავალს.

გამგზავრების წინ ვაგზლის შიდა მოედანზე გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. კაპარაგამ გახსნა, კომკავშირელმა გოგონამ მ. ლესნიხმა განაცხადა:

— მე დიდი სურვილი აღმეძრა წავსულიყავი მეექვსე ხუთწლედის დიად მშენებლობებზე, რადგან ამისათვის მოგვიწოდებდნენ მშობლიური პარტია და მთავრობა. მე ხომ კომკავშირელი ვარ! სადაც უკეთ გამოვადგები სამშობლოს, იქ უნდა ვიყო! — ამბობს იგი, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მოწინავე მკერავი მუშა. — ვთქვი და გადავწყვიტე, მიგდივარ!

მაიასთან ერთად ყაზახეთში თავისი დაუცხრომელი სურვილით მიემგზავრება მისი დედაც.

უდიდესი ენთუზიაზმით არიან ანთებული გურამ კერესელიძე და რუდოლფ გასპარიანი, ლეო გიუნაშვილი და ვიქტორ დანიელოვი, ალექსანდრა სილინინა და თემურ გულდადავა...

პირველი ჯგუფი ახალგაზრდა პატრიოტებისა — 230 კაცი — მიეშურება მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებისაკენ.

კომკავშირელმა თემურ გულდადავამ მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლა დამთავრა, შემდეგ თბილისს რადიოქარხანაში პრაქტიკული მუშაობით მიიღო მეოთხე თანრიგის ზეინკლის პროფესია. საშუალო განათლებით, საუკეთესო პროფესიით მიემგზავრება იგი ყაზახეთში.

ენთუზიაზმით მიდიან ახალგაზრდები პარტიისა და მთავრობის მოწოდებით მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებზე.

ამ ენთუზიაზმის, სამშობლოს ყოველ დაძახილზე მზადყოფნის სულისკვეთების გამომხატველი იყო გამგზავრების წინ ვაგზალზე მოწყობილ ხალხმრავალ მიტინგზე გამოსულ იმ ახალგაზრდა პატრიოტთა გამოსვლები, რომლებმაც პირობა დაიდეს — ასახელონ დედასამშობლო თავდადებული შრომით ჩვენი ქვეყნის შორეულ რაიონებში. ჩრდილოეთ ყაზახეთში სამუშაოდ მიმავალი ახალგაზრდები: თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის მღარავი ა. ევსტიგნეევი, რკინიგზელი ო. წიკლაური, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის გამომჭრელი ლ. რომანიუკინა, 25-ე სამუშაო სკოლის მოსწავლე ლ. გრიკოვი, ავტომობილშემკეთებელი ქარხნის მუშა ნ. კლიმიუკი, ხორცკომბინატის მუშა გ. კერესელიძე თავიანთ პატრიოტულ სიტყვებში გამოთქვამდნენ რწმენას, რომ გაამართლებენ პარტიის ნდობას. მათ მოუწოდეს დარჩენილ ახალგაზრდებს — გადადგან გაბედული ნაბიჯი — შრომის, ბრძოლისა და სწავლის ასპარეზად აირჩიონ ჩვენი სამშობლოს შორეული რაიონები. ყოველი ასეთი მოწოდება მიტინგის მონაწილეთა, გამცილებელთა მქუხარე ტაშით და ოვაციებით მთავრდებოდა. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. თუშურაშვილმა თავისი რაიონიდან მიმავალ ახალგაზრდებს მოუწოდა მამაცური შრომით ასახელონ რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია, საიდანაც ისინი ყაზახეთში მიემგზავრებიან. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. კაპარაგი კეთილ მგზავრობას და შრომაში წარმატებას უსურვებს ახალგაზრდებს და მიტინგს დახურულად აცხადებს.

მოსკოვი-თბილისის კომფორტაბელურად მოწყობილი, სპეციალურად გამოყოფილი ვაგონებისაკენ დაიძრა ახალგაზრდების ნაკადი და მათ გამცილებელთა ზღვა. პერონზე სტიქიურად იმართება ცეკვა-თამაში, სიმღერები. მიდამოს ეფინება ორკესტრის საამო ხმები, აყიერდნენ ბაიანები და გიტარები. მგზავრები ორგანიზებულად სხდებიან ვაგონებში. პერონი აფერადებულია ათასნაირი ყვავილების თაიგულებით, რომლებიც ახალგაზრდა პატრიოტებს გამცილებლებმა მიართვეს. ისმის ელექტრომავლის საყვირის ხმა. ორკესტრის მქუხარე საზეიმო მარშით იძვრის მატარებელი. კომუნიზმის დიადი მშენებლობებისაკენ მიეშურებიან პატრიოტები.

გზა მშვიდობისა, ახალგაზრდებო!

ლ. ვარდუკაძე.

ახალგაზრდა პატრიოტთა გაცილება თბილისის სადგურზე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

წერილი რედაქციას

ლითონის ეკონომიის მძლავრი საშუალება

მანქანათმშენებლობის განვითარების დარგში პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის მრეწველობაში, საერთოდ სახალხო მეურნეობაში ლითონის ეკონომიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამჟამად ნოვატორთა შემოქმედებითი აზრი, ყველა ღონისძიება ძირითადად მიმართულია იქითკენ, რომ ლითონი ნაკლები რაოდენობით დავხარჯოთ, ყველგან, სადაც შესაძლებელი და მიზანშეწონილია, მის ნაცვლად შემცვლელები გამოვიყენოთ. ლითონის დამუშავების ჩქარობსნული და ძალოსნური მეთოდების დანერგვის მიზანია არა მარტო ე. წ. „სამანქანო დროის,“ არამედ მასალის ეკონომიაც.

განსაკუთრებით ბევრი მოეთხოვებათ ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლაში მანქანათმშენებლებს. ჩვეულებრივი წესით, ე. ი. ჭრით დამუშავებისას საქმე გვაქვს ლითონის დიდ დანაკარგებთან. ნაჭედი ნამზადის ჭრით დამუშავებისას დეტალზე ლითონის დანაკარგი 30 პროცენტს აჭარბებს, ზოდებიდან დეტალის დამუშავებისას კი — 50 პროცენტიდან 60 პროცენტამდეა. ლითონის დანაკარგი მით უფრო იზრდება, რაც უფრო რთულია დეტალის კონფიგურაცია.

მანქანათმშენებლობაში, როგორც ცნობილია, ლითონის დანაკარგს წარმოადგენს ნარჩენად მიღებული ბურბუშელა, რაც პროდუქციის თვითღირებულების ზრდაზე საგრძნობ გავლენას ახდენს.

მეექვსე ხუთწლედში ლითონზე მოთხოვნილება დიდად იზრდება, მაშასადამე, ლითონის ეკონომიის საკითხიც ახლა უფრო მწვავედ დგება.

როგორ გადავჭრათ ეს საკითხი? დანაკარგებს იწვევს ლითონის დამუშავების არსებული მეთოდი ანუ დეტალის გამოსაყვანად ლითონის ჭრით დამუშავება. უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, რომ შევცვალოთ ეს მეთოდი, გამოვიყენოთ გაუმჯობესებული ტექნოლოგია?

ტექნიკამ დიდიხანია შეიმუშავა ლითონის დამუშავების ისეთი მეთოდები, როდესაც საჭირო აღარ არის დეტალის მისაღებად ლითონის ჭრით დამუშავება. ასეთი მეთოდებია: ფურცლოვანი და ზოდი ლითონისაგან დეტალების ცივად ტვიფრვა, დეტალების ჩამოსხმა მაღალი წნევით, ლითონის კოკილური ჩამოსხმა და დეტალის ცხლად ზუსტი ტვიფრვა.

ამ მეთოდებით დეტალების დამუშავებაზე გადასვლა მეტად ხელსაყრელია მრავალი მოსაზრებით, უწინარეს ყოვლისა, ლითონის ეკონომიის თვალსაზრისით. ცივად თუ ცხლად ტვიფრვის ან მაღალი წნევით დეტალების ჩამოსხმის დროს შრომის ნაყოფიერება მკვეთრად იზრდება, სხმულის დამუშავებაზე ნაკლები დრო იხარჯება, ტექნოლოგიური ციკლი მოკლდება, მასალის დანაკარგი უმნიშვნელოა.

მანქანათმშენებლებს შორის გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ბურბუშელის მოუხსნელად დეტალების დამუშავება, ე. ი. ტვიფრვით დამუშავება ხელსაყრელი იყოს მხოლოდ ძასობრივ-სერიული წარმოების ვითარებაში. ეს შეხედულება რომ სწორი არ არის, ეს დასტურდება თბილისის მთელი რიგი ლითონდასამუშავებელი საწარმოების, კერძოდ თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის გამოცდილებით. რასაკვირველია, ტვიფრვა დეტალების დამუშავება უფრო ადვილია მაშინ, თუ საქმე გვაქვს მცირგაბარიტიან დეტალებთან, მაგალითად, ე. ი. სამაგრ დეტალებთან. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წვრილსერიული წარმოების დროსაც ბურბუშელის მოუხსნელად დეტალების დამუშავება ნაყოფს გვაძლევს. ლითონის დამუშავების პროგრესული მეთოდების პრიორიტეტი ბრივად დანერგვა მით უფრო კარგ შედეგებს მოგვცემს, რაც უფრო ადგილობრივ განვითარებულ სამანქანო და საჭირო დეტალების უნიფიკაციას. უნიფიცირებული, ერთგვაროვანი დეტალების დამზადება უფრო ჩქარა ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მათი დამუშავება ჭრით არ მოგვიხდა, ხოლო დეტალების უნიფიცირება ყველაზე ადვილად განახორციელებელია სამაგრების წარმოებაში.

სამაგრი დეტალებია ჭანჭიკი, მურლონი, საყელური, ხრახნი და ა. შ. ავტომობილის ასაწყობად უმრავი ასეთი სამაგრი დეტალია საჭირო. მაგალითად, „გაზ-51“ მარკის სატვირთო ავტომობილის ასაწყობად საჭიროა 90 ცალი ჭანჭიკი, 350 ხრახნი, 520 ცალი მოქლონი და მრავალი სხვა დეტალი. თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისის ავტომობილშემკეთებელ ქარხანაში ყოველთვიურად მრავალი ასი ავტომანქანა უნდა აიწყონ, გასაგები გახდება, რა დიდი რაოდენობით დასჭირდებათ ავტომობილშემკეთებლებს ეს სამაგრი დეტალები. თუ ამ დეტალებს ჭრით არ დავამუშავებთ, ლითონს ბურბუშელად არ გადავაქცევთ და დეტალებს პროგრესული მეთოდით გავუშვებთ, იმდენ ლითონს დავზოგავთ, ისეთ ეკონომიას მივიღებთ, რომ ყოველ 100 ავტომობილის აწყობაზე გადარჩენილი ლითონისაგან შესაძლელი იქნება დავზოგოთ ლითონი 40 ავტომობილის ასაწყობად საჭირო დეტალებისათვის.

სავსებით მომწიფდა თბილისში სამაგრი დეტალების გამომშვები სპეციალიზებული ქარხნის შექმნის საკითხი. ეს საქმე ახლა საჩქაროდ უნდა მოგვარდეს, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებელ ქარხნებშიც რომლებიც ტექნიკურად კარგად არიან აღჭურვილნი, სამაგრი დეტალების დამზადებისათვის კარგი პირობებია აქვთ და ამიტომ უნდათ ამ დეტალების ჭრით დამუშავება, რაც ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. სპეციალიზებულ ქარხანაში კი დეტალების დამუშავება, როგორც წესი, პროგრესული მეთოდებით ხდება.

საქართველოში ყველა პირობა და ყველა საშუალება გვაქვს იმისათვის, რომ არ დავაყოვნოთ სამაგრი დეტალების სპეციალიზებული ქარხნის აშენება.

გ. კოკაროვი,
თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის მთავარი ტექნოლოგი.

რკინიგზელის დღის აღსანიშნავად

ამიერკავკასიის მაგისტრალზე პირველობისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების რკინიგზელები მხურვალედ გამოეხმაურნენ თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივის მოწოდებას რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავად ახალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. თბილისელთა პასუხად სოხუმის განყოფილების საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს: ზუსტად დაიცვან მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი, 1 აგვისტოსათვის 7 თვის გეგმის გადამეტებით დატვირთონ 6.000 ვაგონი, ვაგონების ბრუნვის დრო შეამცირონ 1,2 საათით ნორმასთან შედარებით, ელექტრომავალთა სადღეღამისო გარბენის ნორმას გადააჭარბონ 5 კილომეტრით, ხოლო ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენის ნორმას — 10 კილომეტრით, უზრუნველყონ ფორმირებულ მატარებელთა 80 პროცენტის მძიმე წონა და ა. შ.

შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ყველა პროფესიის რკინიგზელები — სადგურების, დეპოების, სალიანდაგო დისტანციების, ენერგომომარაგების, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის საწარმოთა კოლექტივები. პირველობისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი აღნიშნულია საყურადღებო მიღწევებით. მაგალითად, მაისში სოხუმის დეპოს კოლექტივმა ლოკომოტივების გარბენის გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულა, ტექნიკური სიჩქარის დავალება — 102,6 პროცენტით, ვაგონების ბრუნვის დრო შეამცირა 1,1 საათით, ხოლო ლოკომოტივების გარეცხვისა და პერიოდული შეკეთების გეგმა — 108,8 პროცენტით.

შრომითი თავდადების, მატარებელთა წაყვანის მაღალი ოსტატობის ნიმუშებს გვიჩვენებენ მძიმეწონოსნები, რომლებმაც მაისში ნორმის გადამეტებით 31.292 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები გადაზიდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოწინავე მძიმეწონოსნების დ. იჩქიტიძის, ვ. გურგენიძის, ი. გიუნაშვილის კარგი მუშაობა. დ. იჩქიტიძემ თავისი ელექტრომავლით მაისში 12 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და 1.781 ტონა ტვირთები გადაზიდა ნორმის გადამეტებით. ივნისში ვ. გურგენიძემ ნორმის გადამეტებით გადაზიდა 1.392 ტონა ტვირთები, ხოლო ი. გიუნაშვილმა — 1.6[illegible] ტონა.

რკინიგზელის დღის აღსანიშნავ[illegible] სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ხარატმა ვ. [illegible]ილიუკმა და ზეინკლებმა ა. კანდაურმა და პ. ჭელიძემ.

განყოფილების ცალკე საწარმოო შორის წინ მიდის სადგურ ოჩამჩირის კოლექტივი, რომელმაც მაისში დადგენილ ვირთვის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა და საგრძნობლად შეამცირა სატვირთო ოპერაციებისას ვაგონების გაცდენა.

კარგად მუშაობს სადგურ ზუგდიდის კოლექტივი, რომელმაც აგრეთვე შეამცირა სატვირთო ოპერაციებზე ვაგონების გაცდენა, ხოლო დატვირთვის გეგმა 108,5 პროცენტით გაანაღდა.

გულდასმით და კარგად მოემზადა ზაფხულის პერიოდში მგზავრთა მოხურებისათვის სოხუმის ვაგზლის, ბორა-სამგზავროსა და ოჩამჩირის სადგურების მუშაკები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წელს მგზავრთა მომსახურების კულტურა ამაღლებულია მთელ განყოფილებაში. ამ საქმეში საბაძ მაგალითებს იძლევიან სადგურ სოხუმის მორიგე მ. სარქისოვი, ი. სადგურის საბილეთო სალაროს მორიგე ე. შინგელაია, სადგურ ოჩამჩირის მორიგე გ. გეგეჭკორი და გაგრა-პავილონის მორიგე მ. ვოლოდკო.

სოხუმის განყოფილების კოლექტივი რკინიგზელის დღის აღსანიშნავად ფართო მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში გასაჩაღებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიისა და ჩრდილო კავკასიის რკინიგზის ტუაფსის განყოფილებათა კოლექტივები.

გ. სახვაძე,
ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების მთავარი ინჟინერი.

გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება გულისხმობს დაავადების საწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებათა გამონახვას და ავადმყოფთა მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას. ამისათვის კი საჭიროა სამედიცინო პრაქტიკაში მტკიცედ დაინერგოს დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრება. ამ მეცნიერული მოძღვრების ეფექტურობის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ უკრაინის სსრ მაკაროვის რაიონული საავადმყოფოს გამოცდილება, სადაც ფიზიოლოგიური და პირობითი რეფლექსური ძილის გახანგრძლივებით, მაღალი კულტურული მომსახურებით, მოსვენებისა და ძილის ფიზიკურ და ფსიქიურ აქტივობასთან შეხამებით დაავადებათა მკურნალობის საქმეში წარმატებებს მიაღწიეს, პრაქტიკულად განახორციელეს დაცვითი სამკურნალო რეჟიმი.

დაცვითი სამკურნალო რეჟიმი დღეისათვის ფორმულირებულია როგორც ღონისძიებათა კომპლექსი და იგი 4 ძირითადი დებულებისაგან შედგება: საავადმყოფოს გარემო პირობების გარდაქმნა (მავნე გამაღიზიანებლების მოსპობა და დადებითის შემოღება), ფიზიოლოგიური ძილის გახანგრძლივება, ავადმყოფთა დაცვა უარყოფითი ემოციებისა და ტკივილ-შეგრძნებისაგან, დაავადებულთა ფიზიკური და ფსიქიური აქტივობის შეხამება მოსვენებისა და ძილის რეჟიმთან.

ავადმყოფთა ძილისადმი გაზრდილი მოთხოვნილება არა მარტო გარემო გამაღიზიანებლების შემცირებით, არამედ დაავადებული ორგანიზმის თავისებურებითაც აიხსნება. ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, დაავადებული ადამიანის ორგანიზმი დაღლილობას გრძნობს. დაზიანების კერიდან მომავალი გაუკუღმართებული იმპულსების ინტენსიობის შედეგად ავადმყოფის დიდი ტვინის ქერქის უჯრედები ჯანმრთელისაგან განსხვავებით გადაღლილია. ამის გამო აღდგენითი პროცესებისაკენ მიდრეკილება ავადმყოფ ორგანიზმში ძლიერდება და ძილის ხანგრძლივობაც დიდდება.

პათოლოგიური პროცესის სიძლიერისა და ხანგრძლივობის გამო სუსტდება თავის ტვინის ქერქის განაკარგულებელი და მარეგულირებელი ფუნქცია. ამის შედეგად ქერქქვეშა ცენტრები ქერქის გავლენისაგან თავისუფლდებიან და მოსალოდნელია ვეგეტაციური ორგანოებისა და სისტემების კოორდინირებული მოქმედების დარღვევა. ამასთან დაკავშირებით ავადმყოფები ერთგვარი ქმუნვისა და უმოქმედობის მდგომარეობაში ვარდებიან, რაც ხელს უწყობს პათოლოგიური პროცესის გაძლიერებას.

ი. პ. პავლოვის აზრით, „ყველაფრის შთანმთქმელი ქმუნვა“ კარს ღებულ ყოველგვარ ინფექციას და ავადმყოფობას ორგანიზმში შესასვლელად, იმ დროს, როცა სიხარული და იმედი ავითარებს, ამაგრებს სხეულს და ახალისებს ორგანიზმს დასახული მიზნების უზრუნველსაყოფად.

ექიმი ვალდებულია აღმოფხვრას ავადმყოფის ფსიქიკაში გამჯდარი ქმუნვა. საავადმყოფოში შექმნილმა პირობებმა ავადმყოფებს უნდა გაუფანტოს უიმედოების გრძნობა და შეუქმნას ოპტიმისტური განწყობილება. პირობითი რეფლექსური ტონუსის განმტკიცების მიზნით ავადმყოფებში უნდა ხდებოდეს განცდილ სასიამოვნო (როგორც მორალურ, ისე ფიზიკურ) შეგრძნობათა რეპროდუქცია.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სამედიცინო აკადემიის გაერთიანებული სესია ჩატარდა და დაავადებათა მკურნალობის საქმეს პავლოვის მატერიალისტური მოძღვრება დაედო საფუძვლად. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალმა სამეცნიერო-სამკურნალო დაწესებულებამ საგრძნობი წარმატებები მოიპოვა. ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ ქირურგიულ დაწესებულებაში, მართალია, მთლიანად არ არის დანერგილი სამკურნალო-დაცვითი რეჟიმი, მაგრამ მისი ძირითადი დებულებები ხორციელდება. პალატებსა და დერეფნებში სისუფთავეა, ოთახები მორთულია ყვავილებით, კედლებზე გაკრულია სასიამოვნო პეიზაჟის ამსახველი სურათები. განყოფილებაში უდრო ოდენ ვერ ნახავთ კერძო პირს და დაცულია შინაგანაწესი. ამრიგად, გადადგმულია ნაბიჯები საავადმყოფოს გარემო პირობების პავლოვის მოძღვრების საფუძველზე გარდაქმნისაკენ. ამ მხრივ გამოირჩევიან ქალაქის პირველი საავადმყოფოს უროლოგიური და II ქირურგიული, ქალაქის მეორე საავადმყოფოს ქალთა ქირურგიული, რესპუბლიკური საავადმყოფოს მესამე ქირურგიული, ქუთაისის პირველი საავადმყოფოს, სოხუმის მეორე საავადმყოფოს, ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს, ზუგდიდის რაისაავადმყოფოს, ცხაკაიას რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილებები და გურჯაანის რაიონული საავადმყოფო.

ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებაში დღემდე სამკურნალო-დაცვითი რეჟიმის ჩანასახიც კი არ არსებობს. ირღვევა წესრიგი, არ სრულდება შინაგანაწესი. თითქმის ყველა ავადმყოფს, სათანადო წესის დაუცველად, თავზე ადგია ოჯახის წევრი, ავადმყოფის საწოლთან ხშირად შეხვდებით უდროო დროს სანახავად მოსულ მოქალაქეს. ნახვის დღეებისა და საათების შესახებ კანცხადება გამოკრულია ფორმალურად. განყოფილებაში ადგილი აქვს მოსაბეზრებელ ხმაურს, ხმამაღლა ლაპარაკს, შეძახილებს, უსიამოვნო სპეციფიკურ სუნს, მომსახურე პერსონალის შეუფერებელ ჩაცმულობას, ხოლო ზოგჯერ შეუფერებელ საქციელსაც. მეტნაკლებად ასეთი მდგომარეობაა ქალაქის IV საავადმყოფოს, VI საავადმყოფოს, ჩხოროწყუს, თიანეთის რაისაავადმყოფოებისა და ზოგიერთ სხვა საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებებში.

პავლოვური მოძღვრების პრაქტიკაში დასანერგავად არ კმარა ლექციების წაკითხვა და სპეციალური ჯგუფების ჩამოყალიბება. თეორიულ მეცადინეობასთან ერთად უნდა ხდებოდეს ცალკეული საკითხების პრაქტიკული ჩვენება. მაგალითად, პრაქტიკულად უნდა ვასწავლოთ მომსახურე პერსონალს როგორ გაკეთდეს დაწესებულების გენერალური დასუფთავება ღამით ისე, რომ არცერთმა ავადმყოფმა არ გაიღვიძოს და სხვ.

ავადმყოფთა მომზადება უნდა იწყებოდეს პოლიკლინიკაში. აქ უნდა მთავრდებოდეს ძირითადად ავადმყოფთა გამოკვლევა, საავადმყოფოები კი უნდა აგრძელებდნენ პოლიკლინიკებში დაწყებულ სამკურნალო ღონისძიებებს. საავადმყოფოებში ყველა პირობა უნდა შეიქმნას ავადმყოფის მკურნალობის უზრუნველსაყოფად და ფიზიოლოგიური ძილის გასახანგრძლივებლად.

საჭიროა გადამჭრელი ზომები მივიღოთ სამკურნალო დაწესებულებაში ხმაურის აღსაკვეთად და სრული სიჩუმის დასამყარებლად, არ უნდა დავუშვათ ხმამაღლა ლაპარაკი, გადაძახება. ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გამოძახება უნდა ხდებოდეს სინათლის სიგნალიზაციით, პალატებში ელნათურები უნდა შეინიღბოს. ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციის პროცესი დიდ ყურადღებას მოითხოვს. მათი ქსენონში მიღება, სანდამუშავება და სტაციონარში მოთავსება უნდა წარმოებდეს სწრაფად და შეუფერხებლად.

პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავადმყოფთა ანამნეზის ზუსტ შეგროვებას, საოპერაციოდ მათ მომზადებას დ. ფსიქოპროფილაქტიკური ღონისძიებათა ჩატარებას, ტკივილის დაამების ამა თუ იმ წესის შერჩევას. თვით სამედიცინო პერსონალის გარეგანი შეხედულება ავადმყოფებში სიფაქიზისა და იმედის გრძნობას უნდა იწვევდეს.

ი. პ. პავლოვის მოძღვრების პრაქტიკულ მედიცინაში დანერგვა სერიოზული საქმეა და დიდ მუშაობას მოითხოვს. არ შეიძლება ამ მოძღვრების დანერგვა ადმინისტრირების გზით. საჭიროა გეგმიანი და სისტემატური მუშაობა. სამკურნალო დაწესებულებათა მუშაკები უნდა გაეცნონ როგორც სსრ კავშირის, ისე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ბრძანებებს, მაკაროვისა და ჩუდნოვსკის რაიონული საავადმყოფოების გამოცდილებას და ლიტერატურას, რომელიც უხვად მოიპოვება გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების, ბროშურებისა და წიგნების სახით.

დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მატერიალისტური მოძღვრების საავადმყოფოებში დანერგვა უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

ვ. კვერენჩხილაძე,
საქართველოს სსრ რესპუბლიკის მთავარი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ოფურჩხეთის (ქუთაისის რაიონი) ჩაის ფაბრიკის მოწინავე ლაბორანტი ა. ბურჯალიანი ამოწმებს ჩაის ხარისხს.

ფოტო ი. საკუნისა.

★

მეჯალურგთა საქარხანათშორისო სკოლა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ამას წინათ ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშაობა დაამთავრა გამოცდილების გაზიარების საქარხანათშორისო ერთდროულმა სკოლამ, რომელიც მოაწყო შავი მეტალურგიის სამინისტროს „გლავსპეცსტალის“ სამმართველომ.

სკოლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩელიაბინსკის, ზაპოროჟიეს, კუზნეცკის, ლიპეცკის, აქტიუბინსკის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების მოწინავე სპეციალისტები, შავი მეტალურგიის სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკები.

შემაჯამებელ კონფერენციაზე, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, მოსმენილ იქნა მოხსენებები ექვსივე ქარხნის მუშაობის მეთოდებზე.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სკოლის ხელმძღვანელმა, აქტიუბინსკის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ბ. ლობჟანიძემ.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი ფეროშენადნობთა მიღების ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

600.000 ძირი ნამყენი ვაზი

ცაგერი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები მომავალ წელს გაამენდებენ 35 ჰექტარ ახალ ვენახს. ამ გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ნიადაგებას კოლმეურნეობები მიმდინარე წლის გაზაფხულიდანვე შეუდგნენ. 6 ჰექტარ ფართობზე გაშენებულ ახალი ვაზის სანერგე, საღაც 600.000 ძირი უსახელოურის, ოჯალეშისა და ცოლიკოურის ჯიშის ნამყენი დარგეს.

ცაგერის, ზუბის, ოყურეშის, ლაკორიის, უსახელოსა და ალპანის კოლმეურნეობებში გეგმის გადამეტებით დაამყენეს თვითეულში 5.000 ძირი ვაზი.

ასევე კარგად იმუშავეს ლაჯანის, ორბელის, ორხვისა და დეხვირის კოლმეურნეობებმა.

ერთობლივი კომუნიკე საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკებებზე შესახებ

1956 წლის 22-დან 25 ივნისამდე სირიის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით დამასკოში იმყოფებოდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, რომლის ყოფნის დროს წარმოებდა მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა, სსრ კავშირის ელჩმა სირიაში ს. ს. ნემჩინამ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ გ. ტ. ზაიცევმა.

სირიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს პრემიერ-მინისტრმა საბრი ალ-ასალიმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ედ-დინ ბითარმა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა სალაჰ ედ-დინ-თარაზიმ.

მოლაპარაკება გაიმართა მისი აღმატებულების სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტის შუქრი ალ-კუატლის თანხმობით და დასწრებით. მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის საკითხებზე და მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც სსრ კავშირსა და სირიას აინტერესებს.

ორივე მხარემ კმაყოფილებით დაადასტურა, რომ არსებობს შეხედულებათა ერთობა საკითხებზე, რომლებიც განიხილეს მოლაპარაკების მსვლელობაში, და ადასტურებენ, რომ იმ კარგი ურთიერთობის განვითარება, რომელიც ამჟამად არსებობს სსრ კავშირსა და სირიას შორის, გამოიწვევს ორი მხარის მტკიცე მეგობრობის გაძლიერებას და ეფექტიანი წვლილი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

მხარეებმა გამოთქვეს სურვილი ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნიეს დაიდოს შეთანხმება სსრ კავშირისა და სირიის კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირსა და სირიის რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობა ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და იმ ცნობილ პრინციპებს, რომლებიც ბანდუნგის კონფერენციამ მოიწონა და რომლებითაც უკვე ხელმძღვანელობს მსოფლიოს ბევრი სახელმწიფო თავის საერთაშორისო ურთიერთობაში. ისინი ადასტურებენ თავიანთ მჭურვალე მისწრაფებას განაგრძონ თანამშრომლობა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ეს ღონისძიებანი, აგრეთვე ღონისძიებანი სხვა სახელმწიფოებისა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მშვიდობისადმი მისწრაფებით, ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სახელით სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტს შუქრი ალ-კუატლის გადასცა მიწვევა მისთვის მოსახერხებელ დროს ესტუმროს საბჭოთა კავშირს როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სტუმარი. პრეზიდენტმა შუქრი ალ-კუატლინ მადლობით მიიღო ეს მიწვევა.

გამოფენის მონაწილე რაიონები

შარშანდელი მაჩვენებლებით წელს საქართველოს სს რესპუბლიკის მრავალმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა მოიპოვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება ფართო ჩვენებით. სასიხარულოა ისიც, რომ ეს საპატიო უფლება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის ოთხმა რაიონმა. ამის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მიღებულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილება.

გამოფენის მონაწილენი არიან:

ქოგულეთის რაიონი. აქ 8.471,7 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანეს 4.483 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საკარგულების თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 9.784 მანეთი შემოსავალი. სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად გამოფენის მონაწილეები გახდნენ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები მტს-ის ზონაში შ. ჯინჭარაძე და შ. მახაძე.

მახარაძის რაიონი, რომელმაც 1955 წელს 6.310 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 3.930 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო საკარგულების თვითეულ ჰექტარზე ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 9.001 მანეთი ნაცვლად გამოფენის პირობებით გათვალისწინებული 8.000 მანეთისა. ხორცის საერთო წარმოებამ (ცოცხალი წონით) ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საკარგულზე მიაღწია 24,2 ცენტნერს.

ბათუმის რაიონი, რომელმაც 1.522 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 3.519 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სერთიოზულ წარმატებებს მიაღწიეს რაიონის მეცხოველეებმა. გასულ წელს 958 საფურაეე ძროხიდან თვითეულზე საშუალოდ მიიღებულია 1.698 კილოგრამი რძე. რაიონში მოპოვებული მაჩვენებლებით გამოფენის მონაწილე გახდა ბათუმის რაიონული გაზეთის რედაქტორი გ. ჭანუყვაძე.

ლანჩხუთის რაიონი, რომელმაც 2.175,9 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 3.285 კილოგრამი ჩაის ფოთოლი; ამავე დროს ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მიიღო 10,2 ცენტნერი ღორის ხორცი ცოცხალი წონით, ხოლო მეცხოველეობის ყველა სახის ხორცი ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საკარგულებზე — 22,6 ცენტნერი.

მეაბრეშუმის წარმატება

გეგეჭკორი. (საკ. კორ.) რაიონში სახელი გაითქვა ბოწინავე მეაბრეშუმემ, სოფელ ინჩხურის შეროზიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, ვერა წოწორიამ. 19 გრამ აბრეშუმის მარილიდან მან მიიღო და დამამზადებელ პუნქტს ჩაბარა 116,6 კილოგრამი პარკი, ნაცვლად გათვალისწინებული 42 კილოგრამისა. მან წარმატება მოიპოვა ჭიის მოვლის აგროტექნიკის ზუსტად დაცვით, ქისტაურელ შეაბრეშუმეთა გამოცდილების გამოყენებით.

ვერა წოწორია ახლა სამუშაოდ გადავიდა ჩაის პლანტაციებში და კრეფის დღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს.

თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკის კრიტიკისათვის

იდეალისტური ესთეტიკა თეორიულ საწყისს იდეალისტურ ფილოსოფიაში პოულობს, იგივე როგორც მატერიალისტური ესთეტიკის წყაროს მატერიალისტური ფილოსოფია წარმოადგენს. ესთეტიკისა და ფილოსოფიის ეს უმჭიდროესი კავშირი ძველთაგანვე ცნობილია, ხოლო ახალ დროში კიდევ უფრო მეტად ხელშესახები.

თუ გადავხედავთ თანამედროვე ბურჟუაზიულ ხელოვნებათმეტყველებს, დავინახავთ, რომ მის გამოსავალ წერტილს სწორედ თანამედროვე ბურჟუაზიული იდეალისტური ფილოსოფია წარმოადგენს. თავისი მრავალრიცხოვანი სკოლებითა და ასევე ძრავალრიცხოვანი მიმართულებებით. რასაც დღევანდელი ბურჟუაზიული ფილოსოფია ქადაგებს, იმასვე იმეორებს თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკაც. მაგრამ როცა პარალელს გაავლებთ ტრადიციულ იდეალისტურ ესთეტიკასა და თანამედროვე იდეალისტურ ესთეტიკურ სისტემებს შორის, დაინახავთ საოცარ დაქვეითებას, ნაბიჯს უკან უკიდურესი მისტიციზმისა და აგნოსტიციზმისაკენ. საამისო ფაქტების საკმაოდ ჭრელი გროვიდან ავიღოთ თუნდაც ავნოსტიკოს ბარლ ვერნერის, ენენეის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორის მოზრდილი ნაშრომი „უახლესი ფილოსოფია“, რომელიც 1954 წელს პარიზში გამოვიდა. 325 გვერდიანი ეს წიგნი თავიდან ბოლომდე იდეალისტური ხასიათისაა და მისი იდეური შინაარსი სხვა არაფერია, თუ არ უკიდურესი რეაქციული აზრების ქადაგება. მეორე წიგნი საუკეთესოდ მოწმობს, რომ მისი ავტორი თეორიულად გადასულა ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანული ფილოსოფიის პოზიციაზე, ჯვაროსნული ლაშქრობა გამოუცხადებია მატერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა კი ფეიერბახისა და მარქსის მატერიალისტური მოძღვრების წინააღმდეგ.

ვერნერის კონცეპციის საუკეთესო დახასიათებას იძლევა მის მიერვე მოცემული ფილოსოფიის ისტორიის კლასიფიკაცია. ავტორი „უახლეს ფილოსოფიის“ უწოდებს შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფილოსოფიას, უპირისპირებს რა მას „ძველ ფილოსოფიას“ — ბერძნულს (ანტიკურს). ვერნერი თავგამოდებით აქებს რეაქციონერ ნიცშეს, მიიჩნია, რომ ზარატუსტრას ავტორის სახელი თითქოს გაუწყვეტლივ იზრდება, რომ თითქოს მისი ფილოსოფია ახალი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოვლენაა. მაგრამ ვერნერი ამითაც არ კმაყოფილდება. „უახლესი ფილოსოფიის“ ყველაზე დიდ წარმომადგენლად იგი თვლის „ეკლესიის მამას“ ავგუსტინეს, მისტიკოსს თომა აქვინელს, იდეალისტ მალბრანშს, აგრეთვე შოპენჰაუერს, კიერკეგორს, ჰაიდეგერს და სხვ. ლაიბნიცის მოძღვრებაშიც ავტორი იდეალისტურსა და მისტიკურს აიდეალებს. სამაგიეროდ, „უახლესი ფილოსოფიის“ ყველაზე დიდი წარმომადგენელის სიდიან სულ ამოშლილი ჰყავს ფილოსოფიური აზრის ისეთი გიგანტები, როგორიც არიან კანტი და ჰეგელი. რაც შეეხება დეკარტესა და სპინოზას, ვერნერი მათაც მთლიანად იდეალისტებად აცხადებს, ხოლო დეკარტეს მატერიალიზმს — რაღაც გაუგებრობად, თვით დეკარტეს აზროვნების „არათანმიმდევრული“ ხასიათის კონკრეტულ გამოვლენებად. ამით, ცხადია, დეკარტეს დუალიზმი „დაძლეული“ გამოდის მალბრანშისეული გაგების აღდგენითა და ახალი დასაბუთებით. პირველად ხომ სწორედ მალბრანშმა ითქო „დასძლია“ დეკარტეს დუალ ზმი, რომ ეს დიდი ფილოსოფოსი მთლიანად იდეალისტად გამოაცხადა.

ახლა დავაყენოთ კითხვა: რატომ გაჭრნენ ვერნერის წიგნში უდიდესი ფილოსოფოსები კანტი და ჰეგელი?

ეს საკითხი ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ ვერნერი თვითონვე ძლევა პასუხს.

ეს პასუხი იწყება კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიის ვერნერისეული კრიტიკით, რომლის მიზანია დამტკიცოს, რომ კანტისა და ჰეგელის ფილოსოფია „გონების ფილოსოფიაა“, ხოლო ეს უკანასკნელი უძლურის. ვინაიდან თვით ვერნერს გონება უძლურად მიაჩნია; ყველაფერი „ღვთის წყალობაზეა“ დამოკიდებული და გონებას არაფერი არ შეუძლია. მაგრამ, გარდა იმისა, რომ კანტისა და ჰეგელის მოძღვრება „გონების ფილოსოფიაა“, რითაც მათი უძლურება „მტკიცდება“, არსებობს კიდევ ერთი „საბუთი“, რომელმაც ეს ორი დიდი მოაზროვნე მსჯელობლად შეიწირა და ვერნერის წიგნში ადგილი არ დაუთმო. ეს „საბუთი“ ჰხოლდ იმაში მდგომარეობს, რომ კანტისა და ჰეგელის მოძღვრება თურმე მტრულად არის განწყობილი „უახლესი ფილოსოფიისადმი“. სწორედ ამიტომ ვერნერმა დაუფარავად გამოხატა თავისი უარყოფითი აზრი კანტისა და ჰეგელის მიმართ, წამოაყენა რა შემდეგი ძირითადი დებულება: კანტმა და ჰეგელმა „ბოლოს და ბოლოს მიგვიყვანეს“ ლუდვიგ ფეიერბახისა და კარლ მარქსის მატერიალიზმამდეო. რომ ეს ჯერ, მაშინ კანტი და ჰეგელი გადაურჩებოდნენ ვერნერის გულისწყრომას.

ასევე არასერიოზულად მოეკიდა „უახლესი ფილოსოფიის“ ავტორი მარქსისა და ფეიერბახის ფილოსოფიას, თავისი წიგნის მხოლოდ 8 გვერდი დაუთმო მათ, და ამ უსუსური რვა გვერდის წაკითხვაც კი ერუანტელის მომგვრელია უშინაარსობის გამო. ვერნერს მარქსი და ფეიერბახი განხილული ჰყავს მხოლოდ როგორც „მემარცხენე ჰეგელიანელები“. რაც შეეხება მარქსის დიალექტიკურ მატერიალიზმს ან ფეიერბახის ანტროპოლოგისტურ ფილოსოფიას, ისინი მოხსენიებულიც არ არიან, ალბათ იმ მარტივი მიზეზითი, რომ „უახლესი ფილოსოფიის“ ავტორი საერთოდ არ ცნობს მატერიალიზმს, და როგორც ზევით ვნახეთ, იგი „უძლურებად გამოხატულებად“ მიაჩნია, რაკი მატერიალიზმი გონებით ხელმძღვანელობს, უარყოფს რა ღვთაების რაიმე როლს სამყაროს შექმნასა და განვითარებაში. ვერნერი კი პირდაპირ, თანაც მოურიდებლად, აცხადებს: „მატერიის სუბსტანციად აღიარებას, გარდუვალად მივყვეართ ღმერთის არსებობის უარყოფამდეო“.

ამტომ უცხადებს ვერნერი სიძულვილს ყოველგვარ მატერიალიზმს და ამიტომ ეშინია მას მატერიალისტური ფილოსოფიისა, რომელიც ყოველგვარი მისტიციზმისა და აგნოსტიციზმის მტერია.

მაგრამ ასეა არა მარტო ფილოსოფიაში, არამედ ხელოვნებათმეტყველებასა და ესთეტიკაშიც. ამ მხრივ უყურადღებად ვერ დავტოვებთ საფრანგეთის აკადემიის წევრს, თანამედროვე ფრანგული ბურჟუაზიული ხელოვნებათმეტყველების ერთ-ერთ ცნობილ წარმომადგენელს, მწერალ ემილ ანრიოს, რომელმაც 1954 წელს პარიზში გამოსცა 390 გვერდიანი წიგნი — „რეალისტები და ნატურალისტები“. ავტორი განიხილავს საფრანგეთის დიდი მწერლების მხატვრულ შემოქმედებას, ერთ ნაწილს ათავსებს რეალისტთა, ხოლო მეორე ნაწილს ნატურალისტთა ბანაკში. შემდეგ კი კონკრეტულად აყენებს საკითხს, თუ რა განსხვავებაა ერთი მხრივ რუსო-ვოლტერსა და მეორე მხრივ რეაქციონერ მწერლებს — ბოლ ბურეეს და მორის ბარესს შორის. რა თქმა უნდა, ანრიო ვერ უარყოფს, რომ ხსენებულ მწერლებს შორის განსხვავებაა, მაგრამ საერთო თურმე ის არის, რომ ისინი ყველანი „ეშმარიტების მაძიებელნი“ არიან და ამ ყალბი რუბრიკით ანრიო ერთ ბანაკში აქცევს რუსოსა და ვოლტერთან ერთად ისეთ რეაქციონერ მწერლებს, როგორიც იყვნენ ბოლ ბურეე და მორის ბარესი. განა შეიძლება ბარესის მოხსენიება რუსო-ვოლტერის გვერდით? მორის ბარესის ტრილოგიები, რომლებითაც იგი ჭეშა-დიდებას უძღვნის ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს და ქადაგებს ავრესიული ომის იდეას, განა შეიძლება დაიყენო რუსოს „ახალი ელოიზის“, „ემილის“ ან ვოლტერის „კანდიდის“ გვერდით? ეს. ხომ სრულ გაუგებრობასთან ერთად უდიდესი განმანათლებლების სახელის შეურაცხყოფაა?

ერთგან ემილ ანრიო ამტკიცებს: ლიტერატურა სინამდვილის სახეობრივი ასახვა კი არ არის, მხოლოდ ავტორის „მეს“ გამოხატულებაო, ლიტერატურას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვსო, და მწერალსაც სოციალური პირობების გარეშე გამოხილავს. ამ ყალბი იდეალისტური თეზისის შემდეგ სავსებით ლოგიკურია, რომ ანრიო სრულ თანხმობას უცხადებს დეკადენტური პოეზიის ლეგენთანს შარლ ბოდლერს ხელოვნების მშვენიერების არსობისა და ბუნების საკითხში.

რა არის მშვენიერება? ანრიო შემდეგ განმარტებას იძლევა: „მშვენიერი არის ერთადერთი, დამთავრებული თავისში. ის არც სიკეთეა, არც სიმართლე. ის დამოკიდებული არ არის არც რეალურზე, არც მორალზე. იგი არსებობს თავისში, კმაყოფილდება რა თავისთავად, როგორც თვითმიზანი“.

ამ სიტყვების შემდეგ სავსებით ნათელი ხდება, თუ რამდენად უკან წასულა თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკა თუმცაღა ტრადიციულ იდეალისტურ ესთეტიკასთან შედარებით. ცხადია, 1954 წლის ანრიო გაცილებით უფრო ჩამორჩენილია და უკან დგას, ვიდრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 40-იან წლებში მცხოვრები ლუკრეციუსი, რომელსაც მშვენიერების გაცილებით უფრო პროგრესული განმარტება ჰქონდა. ამდენად, ბევრი რამ სავსებით გასაგები ხდება ანრიოს წიგნში, კერძოდ, გასაკვირველი აღარ არის, რომ ანრიო ებრძვის ზოლას რეალისტურ პოზიციას, მოპასანის რეალიზმს თუ ფლობერის მიერ სინამდვილის სწორად წარმოსახვას. იგი ამასაც არ სჯერდება და მზად არის განაცხადოს, რომ თითქოს ფლობერის მთელი შემოქმედება „რომანიზებული ავტობიოგრაფიაა“.

მაგრამ როგორ ესმის ანრიოს თვით რეალიზმი? მისთვის რეალიზმი სინამდვილის მართალი და სწორი ასახვა კი არ არის, არამედ, „თვით მწერლის სულერი სამყაროს ზუსტი წარმოსახვა“. გარდა ამისა, მწერლის სულერი ქვეყანა, ანრიოს აზრით, ისეა მოწყობილი, რომ შეგნება დაქვემდებარებულია უხილავისადმი, ძმქვეყნიურისადმი.

ეს მტკიცება თავიდან ბოლომდე ულტრაიდეალისტურია, ისევე როგორც მოპასანის მიკერძოებული ძგება. მოპასანი. — წერს ანრიო, — „წმიდა მატერიალისტია, რომელსაც არა აქვს სინაზე და იდეალი“.

წარმოიდგინეთ მოპასანი უიდეალოდ!

ეს სწორედ აქ ერთიანდებიან ანრიო და ვერნერი. ისინი საერთო ძალით ებრძვიან მატერიალიზმს როგორც ფილოსოფიაში, ისე ლიტერატურაში.

კიდევ უფრო უცნაურია ანრიოს ერთ-ერთი მტკიცება, რომელიც კანტის დებულებას იმეორებს. მაგრამ არსად იხსენიებს. ცნობილია, რომ კანტი უარყოფდა მეცნიერების მშვენიერების შესახებ მეცნიერული კრიტიკა; მხატვრული მეცნიერება არ არის, — არის მხოლოდ მხატვრული კრიტიკა“. კანტის ეს დებულება ანრიოს სრულ აბსურდამდე მიუყვანია, წამოუყენებია რა შემდეგი პარადოქსი: „მე არა მწამს, რომ შესაძლებელია მეცნიერება ლიტერატურის შესახებ, მეცნიერება პოლიტიკის შესახებ, სოციალური მეცნიერება. ჩეჩვანი, გონების ქმნილებანი, მართვის ხელოვნება თავისთავად არ არიან მატერიალური მოვლენები, რომელთა კანონებს მეცნიერება განსაზღვრავს“.

აქაც ერთიანდებიან. როგორც ვხედავთ, ვერნერი და ანრიო კანტის წინააღმდეგ. თუ პირველმა სულ უბრალოდ, ავტომატურად „გაჭრა“ კანტი უახლეს ფილოსოფიაში, ანრიომ იგივე გააკეთა კანტის აბსურდამდე მიყვანით. ორივე შემთხვევაში მიზანი ერთია: დაამტკიცონ და არარაობად აქციონ დიდი ფილოსოფოსი, რომელიც მატერიალიზმს თავისებურ ხარკს უხდიდა.

ამგვარად, სრული უფლებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკური თეორია ან ძველ

საბჭოთა სამხედრო ხომალდები შანხაიდან სამშობლოში დაბრუნდნენ

შანხაი, 26 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი, რომელშიც შედიან კრეისერი „დიმიტრი პოჟარსკი“, საესკადრო ნაღმოსნები „ვდუმჩივი“ და „ვრახუმიტელნი“, რომლებიც შანხაიში იყვნენ მეგობრული ვიზიტით, შანხაიდან წავიდა და კურსი აიღო მშობლიური ნაპირებისაკენ.

მდინარე ხუანპუს სანაპიროზე საბჭოთა ხომალდების რაზმი გააცილეს ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოადგილემ ვიცე-ადმირალმა ლო შუნ-ჩუმ, შანხაის საქალაქო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ სიუი ძინ-გომ, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის ფლოტის სარდალმა ვიცე-ადმირალმა ტაო იუნმა, შანხაიში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სარდლობის წარმომადგენლებმა, პასუხისმგებელმა მუშაკებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შანხაის ახალგაზრდობის, ჩინეთ-საბჭოთა მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებმა, სსრ კავშირის გენერალურმა კონსულმა ა. ა. ოსიპოვმა, შანხაიში აკრედიტებულმა პოლონეთის, ნორვეგიის, დანიის კონსულებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო და წვიმდა, საბჭოთა მეზღვაურება ქალაქის ათასობით მშრომელმა გააცილა.

საბჭოთა სამხედრო ხომალდები ყვითელ ზღვამდე გააცილა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სადარაჯო გემმა „ნანჩანმა“, რომელზეც იყო აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის ფლოტის სარდლის მოადგილის კონტრ-ადმირალ პინ დე-ცინის ალმი.

საბჭოთა კავშირის დახმარება ავღანეთისადმი

ქაბული, 25 ივნისი. (საკდესი). ავღანეთის ეკონომიკის განსავითარებლად საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთისთვის 100 მილიონი დოლარის კრედიტის მიცემის შესახებ წინათ ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად ამ დღეებში საბჭოთა ორგანიზაციებმა „ტეხნოექსპორტმა“ და „ტეხნოპრომექსპორტმა“ და ავღანეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტრომ და სამთო საქმისა და მრეწველობის სამინისტრომ ქაბულში ხელი მოაწერეს კონტრაქტებს საბჭოთა სპეციალისტების ძალებით მთელ რიგობიექტებში საკვლევ და სამშენებლო სამუშაოთა განხორციელების შესახებ.

კონტრაქტებში, კერძოდ, ნათქვამია, რომ საბჭოთა სპეციალისტები სწავლობენ ავღანეთში ახოტოვანი სასუქების პირველი ქარხნის აშენების შესაძლებლობას. ასეთი ქარხნის მშენებლობას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქარხანამ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ავღანეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

შესრულდება ეკონომიურად არანაკლები დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები გერათსა და პოლიჰეიმში ორი ავტომობილშემკეთებელი სახელოსნოს, ქაბულის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის მშენებლობაში, აგრეთვე ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის დაპროექტებასა და მშენებლობაში, რომელიც შემდეგში გარდაიქმნება ავღანეთის სამეცნიერო-საკვლევ ცენტრად.

დაიდო კონტრაქტები ქაბულის სამოქალაქო ავიაციის აეროდრომის რეკონსტრუქციისა და გაჩრამში, ქაბულის ახლოს ახალი აეროდრომის დაპროექტების შესახებ.

პარიზის გაზეთები სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაულის შესახებ

პარიზი, 25 ივნისი. (საკდესი). პარიზის გაზეთებმა გამოაქვეყნეს დაწვრილებითი ცნობები სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაულის შესახებ. გაზეთები იუწყებიან, რომ ტუშინოში აჩვენეს ახალი რეაქტიული ავიაგამანადგურებლები.

გაზეთი „ორორი“ აღნიშნავს, რომ საჰაერო პარადზე ტუშინოში „მთავარი ყურადღება იქცეოდა თავდაცვითს ავიაციას“.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი სირიაში

დამასკო, 25 ივნისი (საკდესი). გუშინ დილით დ. ტ. შეპილოვი შეხვდა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრს სალაჰ ბითარს და ნასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. დღისით იგი შეხვდა სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტს შუქრი კუატლის და პრემიერ-მინისტრს საბრი ასალის. საუბრებში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ელჩმა სირიაში ს. ს. ნემჩინმ.

დღის პირველ ნახევარში სირიის პარლამენტის თავმჯდომარემ ნაზიმ კუდსიმ საუზმე გამართა დ. ტ. შეპილოვის პატივსაცემად. საუზმეზე იყვნენ: სირიის პრემიერ-მინისტრი საბრი ასალი, საგარეო საქმეთა მინისტრი სალაჰ ედ-დინ ბითარი, სირიის მთელი რიგი მინისტრები, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე იხსან ჯაბირი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რაფიკ ბაშური, პარლამენტის დეპუტატთა დიდი ჯგუფი და სხვა ოფიციალური პირები.

საუზმეზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი სირიაში ს. ს. ნემჩინი და საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დღის მეორე ნახევარში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა ინახულა ომეიადების მეჩეთი, დამასკოს ეროვნული მუზეუმი, აზემის სასახლე, სალადინის მავზოლეუმი და ეროვნული ბიბლიოთეკა. იმავე დღის საღამოს სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ედ-დინ ბითარმა სადილი გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ: პრემიერ-მინისტრი საბრი ასალი, პარლამენტის თავმჯდომარე ნაზიმ კუდსი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რაფიკ ბაშური, პარლამენტის დეპუტატთა დიდი ჯგუფი, მინისტრები, სირიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი საიდ ჰაზი, სირიის არმიის გენერლები, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

სადილზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი სირიაში ს. ს. ნემჩინი და საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები. სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ჯ. შეპილოვი ბეირუთში გაფრინდა

დამასკო, 26 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს 5 საათზე ადგილობრივი დროით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი დამასკოში სამი დღის ყოფნისა და სირიის მთავრობის ხელმძღვანელებთან წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შემდეგ ლიბანის მთავრობის მიწვევით თვითმფრინავით გაფრინდა ბეირუთში ოფიციალური ვიზიტით.

დამასკოს აეროდრომზე დ. ტ. შეპილოვი და მისი თანმხლები პირები გააცილეს სირიის პრემიერ-მინისტრმა საბრი ასალიმ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნაზიმ კუდსიმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ედ-დინ ბითარმა და სხვა მინისტრებმა, სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის გენერალურმა მდივანმა ფუად ჰალაბიმ, პარლამენტის ვიცე-თავმჯდომარემ რაფიკ ბაშურამ, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ იხსან ჯაბირიმ და ამ კომისიის ყველა წევრმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა სალაჰ თარაზმ, სირიის პარლამენტის დეპუტატთა დიდმა ჯგუფმა, ქალაქ დამასკოს მერმა დიაბმა, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის სამმართველოს უფროსმა ზაქი დარუზმ, სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ ვალიდ მაჯიდმა, სირიაში აკრედიტებულმა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა, სირიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მრავალმა წარმომადგენელმა, ბევრმა სირიელმა მოქალაქემ.

დ. ტ. შეპილოვი გააცილა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა სირიაში ს. ს. ნემჩინმ და საბჭოთა საელჩოს მთელმა შემადგენლობამ.

გზაზე აეროდრომამდე დ. ტ. შეპილოვს მხურვალედ მიესალმა ათასობით დამასკოელი მოქალაქე.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. სამხედრო ორკესტრმა შესრულა საბჭოთა კავშირისა და სირიის რესპუბლიკის ჰიმნები.

მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის სალაჰ ედ-დინ ბითარისა და პოლიციისა და უშიშროების სამსახურის სამმართველოს უფროსის ზაქი დარუზის თანხლებით ჩამოუარა საპატიო ყარაულს, დ. ტ. შეპილოვმა ხელი ჩამოართვა საგარეო საქმეთა მინისტრს სალაჰ ედ-დინ ბითარს და სხვა ოფიციალურ პირებს, რომლებიც აეროდრომზე მოვიდნენ. გამოეთხოვა რა გამცილებელთ, მინისტრი ავიდა თვითმფრინავზე.

თვითმფრინავი ადის ჰაერში და ბეირუთისაკენ იღებს კურსს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ჯ. შეპილოვი ბეირუთში ჩავიდა

ბეირუთი, 26 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს 6 საათზე ადგილობრივი დროით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი და მისი თანმხლები პირები ბეირუთში ჩამოვიდნენ.

ბეირუთის აეროდრომზე დ. ტ. შეპილოვს შეხვდნენ ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრი სელიმ ლაჰუდი, ლიბანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი ფუად ამუნი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილე სადაკა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ჟურნიდი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსის მოადგილე კლადი, ბეირუთში აკრედიტებული მთელ რიგ საელჩოთა და მისიათა დიპლომატიური წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

დ. ტ. შეპილოვს აგრეთვე შეხვდნენ სსრ კავშირის დესპანი ლიბანში ს. პ. კიკტევი და საბჭოთა მისიის მთელი შემადგენლობა, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის წევრები ბურხანის მეთაურობით.

დ. ტ. შეპილოვს გულთბილად შეხვდა ბეირუთის მრავალი მცხოვრები, რომლებითაც სავსე იყო აეროპორტის შენობების ყველა აივანი. აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. სამხედრო ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და ლიბანის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომიდან დ. ტ. შეპილოვი საგარეო საქმეთა მინისტრის სელიმ ლაჰუდის თანხლებით გაეგზავნა პრეზიდენტის სასახლეში, სადაც ხელი მოაწერა საპატიო სტუმართა წიგნში.

აეროდრომიდან გამგზავრების წინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა შემდეგი განუცხადა პრესის წარმომადგენლებს:

„შემოვდგი რა ფეხი მეგობარი ლიბანის მიწაზე, მოხარული ვარ საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით მხურვალე სალამი გადავცე და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ლიბანის რესპუბლიკის მთავრობასა და მთელ ლიბანელ ხალხს. ჩვენს ხალხებს შორის უკვე დიდხანია არსებობს მეგობრობა, ვალად მიესალმა ათასობით დამასკოელი მოქალაქე.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. სამხედრო ორკესტრმა შესრულა საბჭოთა კავშირისა და სირიის რესპუბლიკის ჰიმნები.

მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის სალაჰ ედ-დინ ბითარისა და პოლიციისა და უშიშროების სამსახურის სამმართველოს უფროსის ზაქი დარუზის თანხლებით ჩამოუარა საპატიო ყარაულს, დ. ტ. შეპილოვმა ხელი ჩამოართვა საგარეო საქმეთა მინისტრს სალაჰ ედ-დინ ბითარს და სხვა ოფიციალურ პირებს, რომლებიც აეროდრომზე მოვიდნენ. გამოეთხოვა რა გამცილებელთ, მინისტრი ავიდა თვითმფრინავზე.

თვითმფრინავი ადის ჰაერში და ბეირუთისაკენ იღებს კურსს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ჯ. შეპილოვი ბეირუთიდან ბაღდადში

ბეირუთი, 26 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს 6 საათზე ადგილობრივი დროით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი ბეირუთიდან ბაღდადში ჩავიდა.

ბაღდადის აეროდრომზე დ. ტ. შეპილოვს ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ფაიზალ ალ-დულეიმი, ერაყის ელჩი მოსკოვში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ლონდონში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ანკარაში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბონში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბერლინში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბუქარესტში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბელგრადში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბუდაპეშტში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბრიუსელში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბერნში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბუენოს-აირესში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბეიჯინგში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბეირუთში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბანგკოკში ალ-ალუსი, ერაყის ელჩი ბერლინ